137
1940.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 1
იანვარი
1940 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

შინაარსი

		გვ.
1.	კარლო კალაძე, — მოსაწვევი ბარათი (ლექსი)	1
2.	მ. ზოშჩენკო, — სადალაქოში (მოთხრობა თარგმანი ელ. აგლაძისა)	2
3.	გრიგოლ აბაშიძე, — ბელადისადმი (ლექსი)	3
4.	გიორგი კაჭახიძე, — ნაძვის ხე (ლექსი)	4
5.	ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი), — სიზმარი (მოთხრობა)	4
6.	სიმონ მთვარაძე, — საკვირველი ხე (ლექსი)	6
7.	ვახტანგ როსტომაშვილი, — ყარფუზი (მოთხრობა)	7
8.	ირაკლი აბაშიძე, — ჩვენებური მწერები (ლექსი)	10
9.	თამარ გურული, — წრიპა (მოთხრობა)	11
10.	წვადი ყინული, — ციბალასი	14
11.	ილია სიხარულიძე, — გია (ლექსი)	15
12.	ლევან ანანიაშვილი, — საახალწლოდ მიჰქრიან	16
13.	ვაჟა შირაქში, — (რედაქციას მასალა მიაწოდა ი. ნანობაშვილმა)	16
14.	ნინო ნაკაშიძე, — გამოცანები	გარეკანის მე-3 გვ.
15.	თამარ შავერზაშვილი, — ნაძვის ხე (ნოტი)	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ — ი. ქოქიაშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჯიჯინაძე პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 28/XII 39 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/II—40 წ. ფორმათა რაოდენობა 20-გვ. $9^1/_2 \times 14$

მთავლიტის რწმუნებული № 2316 ტირ. 9.300 შეკვ. № 1464 პოლიგრაფკომბინატი სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 82

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

მოსაწვევი ბარათი

დგას საახალწლო ნაძვისხე,
თვალის წარმტაცი რამ არი
და სათამაშოდ მოსულა
უჩასთან ერთად თამარი.

შენც მოგელიან, იჩქარე,
უკვე საღამოს ბინდია,
ბორისს ეძახის გურამი,
გოგის—გოჩა და მინდია;

ვაჟა მოდის და მანანა
თავისი დედოფალათი,
იქ მე და გულდაც ვიქნებით,
ჩვენც მოგვივიდა ბარათი.

მ. ზოშჩენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მუშა, ვინმე გრიგოლ ივანოვი, კრემლში ჩავიდა სამსახურებრივ საქმეზე.

ის ჩამოვიდა პიტერიდან, რომ ჩაებარებინა კრემლის საწყობისათვის იარაღი: შაშხანები, ხმლები, ხიშტები, რევოლვერები და სხვა ცეცხლსასროლი მასალები.

აი მან შეასრულა თავისი ამოცანა და წყნარად სეირნობს კრემლში, ოცნებობს, იქნება აქ სადმე შეხვდეს ამხანაგი ლენინი, რომლის ნახვაც მას დიდიხანია სურდა.

მაგრამ ვერსად ვერ ნახა ლენინი და დაღონებული შევიდა სადალაქოში. გაიფიქრა: შევიკრეჭ თმას, გავიპარსავ წვერს და შინ გასუფთავებული დავბრუნდებიო.

აი შედის ის კრემლის სადალაქოში და იკავებს რიგს.

სადალაქოში კი ბევრი ხალხია. ორი დალაქი მუშაობს, მუშტრები კი იცდიან.

უკვე 20 წუთია გრიგოლ ივანოვი ნაღვლიანად ზის ამ სადალაქოში და ისევ ნანობს, რომ ვერ ნახა ლენინი.

უცბად გაიღო კარი, შემოვიდა მუშტარი, და ყველა ხედავს, რომ ეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი შემოვიდა, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

მაშინ ყველანი, ვინც სადალაქოში იყო, ადგნენ და მიესალმნენ:

— გამარჯობათ, ამხანაგო ლენინ!

ჩვენი მუშა გრიგოლ ივანოვიც მიესალმა, გახარებული იყო, იღიმებოდა და შესცქეროდა ამხანაგ ლენინს, სურდა უკეთესად დაეხსომებინა მისი სახე, რომ მერე სხვებისათვის ეამბნა ამ შეხვედრის შესახებ.

ამხანაგი ლენინი თავის მხრივ ყველას მიესალმა და თქვა:

— ვინ არის რიგში უკანასკნელი?

ყველა გააკვირვა ლენინის ამ შეკითხვამ და გაიფიქრეს: „ეს არ იქნება კარგი, რომ ლენინმა რიგს უცადოს, ის მთავრობის თავმჯდომარეა და მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია“.

და ყველამ, ვინც კი სადალაქოში იყო, შესძახა:

— ვლადიმერ ილიჩ, სულერთია, ვინც არის რიგში უკანასკნელი. მალე გათავისუფლდება სავარძელი და ჩვენ გთხოვთ დაიკავოთ ადგილი ურიგოდ.

ლენინი უპასუხებს:

— მადლობას გიძღვნით, ამხანაგებო, მაგრამ ეს არ ვარგა. საჭიროა დავიცვათ წესი და რიგი. ჩვენ თვითონ ვქმნით კანონებს და ჩვენ თვითონვე უნდა ვასრულებდეთ მათ ცხოვრების ყოველ წვრილმანში.

და ამ სიტყვებით ლენინმა აიღო სკამი, დაჯდა, ამოიღო ჯიბიდან გაზეთი და დაიწყო კითხვა.

მაშინ წამოდგა სკამიდან ჩვენი მუშა გრიგოლ ივანოვი და აღელვებულმა მიმართა ამხანაგ ლენინს:

— ახლა სწორედ ჩემი რიგი მოვიდა. მაგრამ მე უმალ დავთანხმდები 5 წლის განმავლობაში დავრჩე პირგაუპარსავი, ვიდრე თქვენ გალოდინოთ. და თუ თქვენ, ამხანაგო ლენინ, არ მოინდომებთ წესრიგის დარღვევას, მაშინ მე მაქვს კანონიერი უფლება დაგითმოთ ჩემი რიგი და მე კი დავიკაო უკანასკნელი.

ყველამ, ვინც კი იყო სადალაქოში, თქვა:

— ის კარგად და სწორედ ლაპარაკობს.

სადალაქოს ოსტატებმაც მაკრატელი გააწკაპუნეს და თქვეს:

— ვლადიმერ ილიჩ, ისე უნდა მოიქცეთ, როგორც მუშა გეუბნებათ.

მაშინ ლენინმა გაიღიმა, და ყველანი მიხვდნენ, რომ მას არ უნდოდა ეწყენინებინა მუშისა, მუშტრებისა და ოსტატებისათვის.

ლენინმა შეინახა გაზეთი ჯიბეში, ყველას მადლობა გადაუხადა და დაჯდა სავარძელზე.

ყველა ხედავდა, როგორი მორიდებითა და სიფრთხილით პარსავდა მას დალაქი.

შესცქერიან ყველანი ამხანაგ ლენინს და ფიქრობენ:

„როგორი თავდაბალი და დიდი ადამიანია!“

აი გაათავა ოსტატმა მუშაობა.

— მშვიდობით, ამხანაგებო! გმადლობთ თქვა ლენინმა და გავიდა სადალაქოდან.

თარგმანი **ელ. აგლაძისა**

გრიგოლ აბაშიძე

ბელადისადმი

ჩვენი სამშობლო დიდი ბაღია,
მებაღე შენ ხარ ჩვენი ბაღების,
ვაშას გითვლიან და მოგძახიან
ჩვენი პატარა ბაირაღები.
გვინდა მოგწვდეთ და ვარდით
დაგფაროთ,
გვინდა ვაქციოთ ვაშად გულები,
თავისუფლების ბაირაღტარო,
იმედო ყველა დაჩაგრულების!
ჩვენ შენზე მეტად ვინ მოგვალხინოს,
ჩვენი დრო ბრწყინავს, შუქს ჰფენს
ყველა დროს,
იცოცხლე დიდხანს, დიდო
სტალინო,
ჩვენო მამავ და ჩვენო ბელადო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ნაძვის ხე

ო, რამდენი მკვირცხლი ბავშვის
მკვირცხლი თვალი გიმზერს ერთად!
ნაძვისხეო, რომელ მთიდან,
რომელ ტყიდან მოდი ჩვენთან?
იქ თუ ყინვა გაწუხებდა,
აქ ხომ ლხინობ, აქ ხომ თბილა!
გვახარე და გაიხარე,
გავატაროთ ეს დრო ტკბილად.
ჭალებიდან საზეიმოდ
დაგფრქვევია შუქი უხვად,
ვარსკვლავები გამოგისხამს,
ტკბილეულით დატვირთულხარ.
ტოტებიდან თოვლის ბაბუ
მასპინძლურად გვიწვდის ხელებს,
ხან ხუმრობით თვალს მოხუჭავს,
ხან ღიმილით ჩაახველებს.
გაიხარე, ნაძვისხეო,
ჩვენი ტყის და ჩვენი მთის ხარ,
სულ გიმღერებთ, ტკბილეულებს
მუდამ ასე თუ მოისხამ!

ანა ხახუჯაშვილი (ცქვიჯი)

სიგმარი

—აი, მეც აქ გახლავარ!

შემოაჭრიალა კარები მალალფეხება ყარყატმა და უშველებელი ნისკარტი სასაცილოდ მიატრიალ-მოატრიალა.

—აბა წავიდეთ! რა გაკვირვებით მიცქერი, დაგავიწყდა, განა?

ამ სიტყვებით ყარყატმა კოხტა ქუდი მოიხადა და კვლავ შეეკითხა:

—ველარ მიცან?

—ჰო, როგორ არა, შენ ის არა ხარ?! —და სახეგაბრწყინვებულ ბავშვს თავისი სკოლის ნაძვისხე გაახსენდა. სათამაშოებით მორთული ნაძვისხე გუშინ მზესავით ბრწყინავდა, მაგრამ ყველაზე ძლიერ ილლიაში წერილამოდებული და ქუდდახურული ყარყატი მოეწონა.

—ჰო, რად გიკვირს? რადგანაც მეც ძლიერ მომეწონე, შენთან მოველ, რომ გუშინდელი ნატვრა აგისრულო. აბა წამოდი!

გურამს უკვირს, რომ ყარყატი ისეთი კილოთი ელაპარაკება, თითქოს იმაზე ჭკვიანი იყოს...

—სად?

გაკვირვებით ეკითხება გურამი და სიცილს ძლივს იმაგრებს, ყარყატის ჩამოგრძელებული ცხვირის მოძრაობას რომ უცქერის.

—სად და იქ, სადაც შენ გსურდა! აბა ფანჯარაში გაიხედე!

გურამი ფანჯარასთან სწრაფად მივიდა და გაიხედა:

—დედა, დედა, რა ამბავია!—წამოიძახა ბავშვმა და ფანჯარას თვალი ველარ მოაშორა. ქვემოთ, მოედანზე, მართლაც დიდი ამბავი დატრიალებულიყო: გურამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც კი მორთული ნაძვისხეები ენახა, იმ ხეების ყველა სათამაშოს ფეხი აედგა და გურამის სახლთან მოსულიყვნენ. პირველ რიგში ჯოხზე დაბჯენილი თოვლის პაპები იდგნენ და თეთრად ბრწყინავდნენ. სპილოები, დათვები, ლამაზი თეთრი გედები, ათასნაირი ჩიტები, ჭრელად მორთული აქლემები, მშვენიერი ფერადი მძივები, გაკაშკაშებული ვარსკვლავები, აუარებელი ფერადი და ოქრო-ვერცხლის ფრად გაბრწყინებული ბუშტები, ეტლები, ავტომობილები, აეროპლანები, უამრავი ფერადი ელნათურა, ერთი სიტყვით, ყველას თავი იქმოეყარა და მრავალნაირად მოძრაობდნენ.

გურამის დანახვაზე სათამაშოებმა ფანჯრისაკენ გაიშვირეს ხელი და ერთხმად შესძახეს:

—ვაშა, გურამ, ჩვენ შენი სურვილის შესასრულებლად მოვედით და შენ განკარგულებას ველით!

გურამმა სიხარულით აღარ იცის რა ჰქნას, ლამის იტიროს, მაგრამ რცხვენიან, ყარყატი კი ზურგს უკან უცნაური ღიმილით შესცქერის და ეუბნება:

—აბა წავიდეთ, გურამ! აგერ შენი აეროპლანი გარეთ გიცდის.

გურამი მოტრიალდა, გააღო კარი და რას ხედავს: გუშინ საღამოს სკოლაში რომ საჩუქრად ლამაზი აეროპლანი ერგო, ის უფრო გალამაზებულა, გადიდებულა და კარებში ღიმილით ელის, პროპელერი გურამის აღფრთოვანებულ გულივით თრთის და გურამს იპატიჟებს:—აბა, გურამ, დაბრძანდი, რომ ნიავ—ქარივით იქ გაგაქროლო, სადაც შენ გუშინ ინატრეო. ახლა კი გაახსენდა გურამს ნანატრი ამბავი, ხელად დაიხურა ქუდი და ყანჩას მიმართა:

—აბა, წავიდეთ.

როცა გურამი და ყანჩა კიბეზე ჩამოდიოდნენ, მბზინავმა ავტომ თავისი საკუთარი ხელით მანქანის კარი გააღო და ტკბილად უთხრა: აი, გურამ, შენ რომ ყველა სათამაშო ასე ძლიერ გიყვარს, ჩვენც ძლიერ გვიყვარხარ, ისე გვიყვარხარ, რომ ყველაფერს შეგისრულებთ. აბა დაბრძანდი!

გურამი მშვენიერ მანქანაში დაბრძანდა და კარი შეიჯახუნა. ავტო დაიძრა. აუარებელი სათამაშო თავისი საკუთარი ფეხით მანქანის სისწრაფით მიქრის ტყისაკენ. აგერ ნაძვის ტყეც გამოჩნდა. ყველას თითქოს ფრთები გამოესხა: გაქანდნენ და შტოებზე ჩამოეკიდნენ. მთელი ტყე ერთ წამს მშვენიერი სათამაშოებით მოირთო და ელნათურებით გაბრწყინდა. ოჰ, რა ლამაზია, რა მშვენიერია დღეს ეს ნაძვის ტყე! ხეები ცოცხლები არიან, არ მოუჭრიათ და ისე უხარიათ, რომ ტოტების ოდნავ შრიალით სიმღერას ამბობენ, ახალწლის ლამაზ სიმღერას.

—ჰო, ნეტა სად ვნახე, უწინ სად ვნახე მორთული ნაძვისხე?—ფიქრობს გურამი და შუბლზე ხელს ისვამს.

—სადა და რუსთაველის პროსპექტზე. გახსოვს, შენ რომ ინატრე: ნეტა მთელი ნაძვის ტყე ასე მორთული მაჩვენაო, აი შეგისრულდა ნატვრა. ხომ კარგია?—ეკითხება ერთერთი ნაძვისხიდან დიდი ბზრიალა და მზესავით ბრწყინავს მწვანე ხასხასა ფოთლებში. გურამი აღტაცებულია. გურამზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ არის. ყარყატი ამჩნევს გურამის სიხარულს და ეუბნება:

—იმღერე, გურამ, იმღერე, და მთელი ტყე შენ მოგყვება.

გურამმა სიმღერა შემოსძახა. ტყეც აგუგუნდა. ბავშვი უფრო აღფრთოვანდა, ხელი დაიქნია და ანიშნებს: ხმას ცოტა

აუმაღლეთო. თვითონაც ისე ხმამაღლა მღერის, რომ სასადილო ოთახში ყველას გული გაუსკდა, წამოცვივდნენ და გურამის საწოლს გარს შემოერტყნენ. იმათ ეგონათ, ბავშვს ასტკივდა რამე და იმიტომ ხმაურობსო, მაგრამ მძინარე ბავშვს რომ დახედეს, გულიანად გაეცინათ. მიხვდნენ, რომ გურამი ტკბილ სიზმარს ხედავდა და კარგი ლოტბარივით ხელის ქნევით რაღასაც მღეროდა.

ს. მთვარაძე

საკრეფილი ხე

ჩემთან მოგროვდით ყველანი,
აივსეთ ბედნიერებით,
თვალი და გული ვერ ძღება
ამდენი მშვენიერებით!
ნაძვისხე ტყეშიც მინახავს:
მაღალი, კუშტი, მწყრალია,
აქ კი შეხედეთ, ბავშვებო,
სწორედ რომ ნატვრის თვალია!
ვერცხლის ჩიტებით მორთულა,
უბრწყინავს ხშირი ტოტები!
ოქროს ვაშლებსაც მოკრეფავ,
თუკი რომ მიეწოდები!
ფორთოხალი და კაკალი...
სულო და გულო, რა გინდა?
პარკები ტკბილეულობით,
აი ახედეთ დაბლიდან!
შტოები თოვლით ავსია,
რა საუცხოო რამეა,
ცეცხლშიაც იწვის! ვერ ხედავთ?
ირგვლივ კაშკაშა ღამეა!
რად უნდა, ტოტებზე უსხედს
თეთრწვერა ბერიკაცები?
ბებრებს რატომ არ ირჩია
მან ჩვენისთანა ანცები?
ნეტავი საიდან გაჩნდა,
ან რომელ ტყეში ხარობდა?
ნუთუ თოვლსა და ყინულში
ამდენი რამე გვაროობდა?!
არ დაიჯეროთ! რას ბრძანებთ,
მგონი, რომ ჯადოქარია,
ან მოჩვენება? არ ვიცი!
ზღაპარი? — არც ზღაპარია!
ეს ვიცი: მორთო, მოკაზმა
მასწავლებელმა — მშობელმა,
მოგვიძღვნა ჩვენმა ქვეყანამ,
სიცოცხლით გაუქრობელმა!
ცეკვით ვურბინოთ გარშემო,
იყოს ხალისი, ანცობა!
ვიმღეროთ, სიმღერითა ვთქვათ:
„დიდო სტალინო, მადლობა!
მადლობა, დიდო სტალინო,
ბედნიერ ყოფის მშობელო,
სიკეთის ამყვავებელო,
ბოროტის დამამხობელო!
შენ გიმღერს დიდი, პატარა,
ხელოვანი თუ მგოსანი,
შენი სახელის დიდებად
ვიქნებით ფრიადოსანი!“

ვახტანგ როსტომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარფუზი

ბაკურიანის ნაძვნარის პირას ერთ-ერთი აგარაკის აივანზე მოაგარაკენი სადილობას აპირებდნენ.

პატარა ტიკტიკა ზიზიც თბილისიდან ამოსულ მამასა და ნათლია ქეთოს შუა იჯდა.

ზიზის ცნობისმოყვარეობას ბოლო ალარ უჩანდა.

ზიზის დედამ უკვე გააწყო მაგიდა, ყველა სადილის ჭამას შეუდგა, ხოლო ზიზი კი, ტიკტიკად ქცეული, ჭამაზე არა ფიქრობდა, სადილისათვის ვერ მოეცალა.

— ზიზი, — უთხრა მამამ, — პამიდორი ჭამე, თორემ საზამთროს არ გაჭმევ.

— საზამთრო კი არა, ყარფუზი, — გაუსწორა ზიზიმ მამას.

— რათა ყარფუზი და არა საზამთრო? — შეეკითხა ნათლია ქეთო.

— იმიტომ, რომ ყარფუზი ჰქვია! — მიაგება პასუხი ზიზიმ.

— თუ სადილს კარგად შეჭამ, ყარფუზის ამბავს გიამბობ, — დაჰპირდა მამა.

ზიზიმ სიხარულით მიიღო პირობა და სადილი მადიანად მიირთვა.

მალე იწყეს ყარფუზის დაჭრა, ის წითლად გადიშალა სინზე. შუაში გული ამართულიყო, გარშემო კი თანაბარი ნაჭრები შემოხვეოდნენ. სუნიც და გემოც იშვიათი ჰქონდა. ზიზი სიხარულით ცას ეწეოდა.

ზიზიმ მამას პირობის შესრულება მოსთხოვა, თუმცა ეს ამბავი, სულ ცოტა, ათჯერ ჰქონდა მოსმენილი.

— ყარფუზი, — დაიწყო მამამ, — სულ პირველად ირანში იზრდებოდა ველურად, პირდაპირ მინდორში. მას არავინ თესდა, არც ჭამდნენ, რადგან, მისი სიწითლის გამო, საწამლავი ეგონათ; ახლოს არვინ ეკარებოდა.

მაშინ ირანში ერთი მრისხანე შახი მეფობდა. მას ჰყავდა ერთი უფროსი ვეზირი და ამ ვეზირს სახელად ყარფუზა ერქვა.

ერთ მშვენიერ დილას შახს ცუდ გუნებაზე გამოელვიძა. ალარ იცოდა, ვისზე ეყარა ჯავრი.

რის ჯავრი, თვითონაც არ იცოდა. ალბათ, უსაქმურობის. დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირი, ჩამოჯდა ოქროს ტახტზე და დალვრემილი ათვალიერებდა თაყვანისსაცემად წელში მოხრილ ნაზირ-ვეზირებს.

ნაზირ-ვეზირებმა მსახურებისაგან უკვე იცოდნენ, რომ შახი ცუდ გუნებაზე იყო, და შიშით ყველას მუხლები უკანკალებდა.

როგორც იქნა, უფროსმა ვეზირმა — ყარფუზამ გაბედა, წინ წამოდგა და მრისხანე შახს თაყვანი სცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შახი უცბად აილეწა, არ მოეწონა ყარფუზას ქცევა და გაბრაზდა.

— ყარფუზ!! — უთხრა მრისხანედ: — დაგვიწყებია თაყვანისცემა მზისა და ღმერთის სწორი შენი შახისა! ვფიცავ, სიკვდილის ღირსი ხარ!

თქვა ესა და უბრძანა მხლებელთ შეეპყრათ ვეზირი ყარფუზა, გაეტიტვლებინათ და შახის ბაღში ხის დიდ გალიაში შეეგდოთ.

ყარფუზას სიკვდილის ფერი დაედვა, ნაზირ-ვეზირებს ენა მუცელში ჩაუვარდათ.

ან ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას?

რაკი შახმა ჯავრი იყარა, ცოტაოდენ გუნებაზე მოვიდა. უბრძანა ნაზირ-ვეზირებს:

— იფიქრეთ, რაც შეიძლება სასტიკი სიკვდილით უნდა დავსაჯოთ ჩემი მტერი ყარფუზაო.

ნაზირ-ვეზირებმა მოიკეცეს და დაიწყეს ფიქრი.

ბოლოს შახმა ჰკითხა:

— აბა თქვით, ვინ რას მირჩევთ?! ვინც ყველაზე მწარე სიკვდილს გამოუგონებს ყარფუზას, მას მეფურად დავასაჩუქრებ.

დაიწყეს ნაზირ-ვეზირებმა რჩევა-თათბირი, ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა. შახს არც ერთი არ მოეწონა.

ბოლოს ერთმა ვეზირმა მოწიწებით მოახსენა:

— დიდებულო შახო! ნება მიბოძე შენს მონას გირჩიო.

— თქვი! — უბრძანა შახმა.

— ჩვენს მინდვრებში ბევრი წითელი საწამლავია. აი ის, გარედან რო ლურჯად იყურება, როცა გასკდება, წითელი შხამით რომ ანათებს, ის მოვუტანოთ შენს მტერს, ულირს ყარფუზას, შევუყაროთ გალიაში, ნურას ვაჭმევთ, შიმშილით რომ გამწარდება, თვითონვე შეჭამს, მეტი ჩარა არ ექნება.

შახს მოეწონა, გაუხარდა, მრჩეველი თავისი ხალათით დაასაჩუქრა. ბრძანა მოეტანათ საწამლავი და შეეყარათ ყარფუზასთვის გალიაში, თვითონ კი თავისი ნაზირ-ვეზირებით გავიდა ბაღში, გააშლევინა სუფრა გალიის წინ გრილოში და შეუდგა ქეიფს.

ყარფუზას ძალე მოართვეს რამდენიმე დიდი საწამლავი, დახეთქეს და ისე შეუყარეს გალიაში.

ყარფუზა, ცოტა არ იყოს, ღორმუცე-

ლა კაცი გახლდათ. შიმშილი ძალიან აწუხებდა, მაგრამ საწამლავის შიშით გალიის კუთხეში მიიკუჭა.

შახი კი თავისი ნაზირ-ვეზირებით ქეიფობდა, ღრეობდნენ ყველანი, დასცინოდნენ ყარფუზას.

ყარფუზამ ითმინა შიმშილი ერთ დღეს, მეორე დღეს, მესამე დღეს კი ისე შეწუხდა, რომ გადაწყვიტა: ამ ტანჯვას ისევ სიკვდილი მირჩევნია, სულერთია, ცოცხალი ვერ გადავრჩებიო.

კანკალით მიუახლოვდა ახალმოტანილ საწამლავს. შახმა და ნაზირ-ვეზირებმა თავი ანებეს ჭამა-სმას, ყველანი მიაშტერდნენ ყარფუზას.

შიმშილ-წყურვილით გამწარებული ყარფუზა უცებ მივარდა საწამლავს და ხარბად დაუწყო სვლეპა. თავდაპირველად შიშით გემო ვერ გაიგო. გონს რომ მოვიდა, შეამჩნია, რომ ხარბად ჭამს საწამლავს, ძალიან ტკბილსა და გემრიელს. იფიქრა: იქნებ ალაჰმა ჰქნას და სიკვდილი არც ისე მწარე იყოსო. როგორც იქნა, გაძღა, დაიღალა კიდეც. მგონი, მეათე უზარმაზარ საწამლავს ათავებდა. მუცელი გაებერა. სამი დღეღამის უძიხარს უცებ მოერია ძილი. იფიქრა: ეს კარგია, ალბათ, ძილში მოვკვდებიო. მიეგდო იქვე გალიაში და ერთი ლაზათიანი ხვრინვა ამოუშვა.

შახი და ნაზირ-ვეზირებიკი განცვიფრებული უყურებდნენ. ფიქრობდნენ: მართლაც ვაჟკაცი ყოფილა უბედური ყარფუზა, რომ ამოდენი საწამლავი შეჭამა და კიდევ ცოცხალიაო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყარფუზას გამოეღვიძა. ისევ შიოდა. ახლა კი თვითონ მოითხოვა საწამლავი. მოუტანეს. კიდევ ერთი ლაზათიანად გამოძღა და დილამდის ძილად მიეგდო.

დილაზე შახმა ლოგინშივე იკითხა — ყარფუზა ხომ არ მომკვდარაო? მოახსენეს, რომ გუშინ საღამოს ჟამს ყარფუზამ კიდევ ათიოდე მსხვილი საწამლავი მოითხოვა და დღეს დილამდის ისე ეძინა, რომ ფეხიც არ გაუნძრევია.

გაკვირდა შახი, ტანთ ჩაიცვა, გამოეწყო, რაზანდა და მივიდა გალიასთან. შეეკითხა:

— ყარფუზ! როგორა გრძნობ თავს?

— ალაჰმა მიცოცხლოს დიდებული შახი, რომ ამისთანა გემრიელი საჭმელის ჭამა გამაბედვინა! — უპასუხა ყარფუზამ.

— როგორ! აქამდის საწამლავი არა ჭრის?! — უკვე თითქმის თანაგრძნობით შეეკითხა შახი.

— დიდებულო შახო! ჩემო თვალის ჩინო! ჩემო ბრძანებელო! ეს საწამლავი არა ყოფილა! მენდე შენ უღირს მონას! იგემე და დაინახავ, რომ ამისთანა ჯერ არც ერთ შახს არ უგემნია.

შახმა უკან დაიხია, ახლო მდგომ მონას უბრძანა: ნახე გემო, შეჭამეო. მონამ კანკალით შეასრულა ბრძანება, გაფითრებულმა ჩაიდო პირში ერთი ნაჭერი, შემდეგ გაიცინა, ნამდვილი სიამოვნება აღიბეჭდა მის სახეზე. შახი დარწმუნდა, რომ ყარფუზა მართალს ამბობდა. უბრძანა მსახურთ:

— მომართვით მეც! უნდა ვიგემო ახალი ხილი!

მოართვეს ოქროს სინზე ლამაზად, წითელ ვარდივით გადაშლილი საწამლავი. შუაში საწამლავის გული კოხტად ამართულიყო და შავი თესლებით შეჭედილი იყურებოდა.

შახი მეტად კარგ გუნებაზე დადგა და და ბრძანა:

— გაუღეთ გალია! მოართვით ყარფუზას ჩემი ხალათი და ჩემი ჩალმა.

— ყარფუზა, მიპატიებია, მოდი ერთად ვჭამოთ შენი ყარფუზი.

მას შემდეგ დაერქვა საზამთროს ყარფუზი. ყველამ დაიწყო მისი ჭამა, ყველა ქვეყანაში წაიღეს მისი თესლი. ჩვენშიაც მოიტანეს, რუსეთშიაც მიიტანეს, მხოლოდ რუსებმა, რადგან მათ „ყ"-ს გამოთქმა არ შეუძლიათ, „არბუზი" დაარქვეს.

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(გაგრძელება *)

ბზუალა

ჩვენთან ერთად ჭიალუას
ეს ბზუალაც მარჯვედ ებრძვის,
მისთვის მინდვრის მავნებლები
საგანგებო არის კერძი.

მზის სინათლე ეზარება
და მაშინვე მინდორს ტოვებს,
მაგრამ ძლიერ თამამია,
ანადგურებს დიდ ხოჭოებს.

ნუ დაიჭერთ, ნურც აბრაზებთ,
თორემ საქმე წასულია,
თავს დაიცავს უცნაურად:
სითხეს უშვებს ავსუნიანს.
მაგრამ რადგან მავნე მწერებს
იგი იგდებს მარჯვედ ყბებში,
ამ ბზუალას საგანგებოდ
ამრავლებენ ზოგ ქვეყნებში.

მყრალი ბრინჯაოლა

ყვავილს ჰკოცნის, თქვენ გგონიათ,
ან სიმღერით სმენას უტკბობს?
არა, მყრალი ბრინჯაოლა
უნადგურებს ყვავილს ბუტკოს.

ოქროს ჭია ჰქვია ზოგან,
შეჩენია ყვავილს ჭირად,
მთელ დღეს წუწნის შეუმჩნევლად,
არ დაფრინავს ხოჭო ხშირად.

ულამაზო თუმც არ არის,
მაგრამ საქმე წასულია:
თუ შეეხე, ვით ბზუალა,
სითხეს უშვებს ავსუნიანს.

ციცინათელა

გაანათებს, ადვილია
მისაგნებად მისი კვალი,
ასე დაფრენს თბილ ღამეში
ეს ცოცხალი ნაპერწკალი.

ფრენა მამალს შეუძლია,
დედალი კი უფრთო არი,
მხოლოდ ხშირად ნიშანს აძლევს
პატარა და უშფოთვარი.

ეს ხოჭოა. მისი სხივი
ვერ ივარგებს მზიან დღისთვის,
ჩვენში დაფრენს და მეტადრე
მოედება შავი ზღვის პირს.

ჭიამაია

ბევრმა ხოჭომ მავნებლობა
და ზიანი იცის ავი, —
ვის არ უყვარს ეს პატარა
და წითელი ქინძისთავი,

გაცოცდება მცენარეზე,
ფოთლებს წმენდს და ვარდის
კვირტებს,
ეხმარება მებაღეებს:
სპობს პატარა პარაზიტებს.

მართლაც ფოთლის მიჯნურია,
ფოთოლს სხვა ვინ ეყვარება,
ზამთრის პირსაც გულში იკრავს,
ორთავ მიწას ებარება.

ზიზღითა და შეჯავრებით
ამ პატარას არვინ უმზერს,
აიყვანეთ, მეგობრებო,
და დაისვით ხელისგულზე.

(გაგრძელება იქნება)

*) დასაწყისი იხ. ჟურნ. „ოქტ.", № 12 (1939 წ.)

თამარ გურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრიპა

არ მახსოვს, საიდან გაჩნდა წრიპა ჩვენს სახლში, ალბათ, ვინმემ საჩუქრად მომიყვანა. ეს მაშინ იყო, როცა მე ცხრა წლისა ვიყავი. მას შემდეგ 20 წელმა გაიარა, მაგრამ მე მაინც მახსოვს ჩემი პატარა მეგობარი, — მე და წრიპამ ხომ უსაზღვროდ შევიყვარეთ ერთმანეთი.

წრიპა თეთრი თაგვი იყო, რომელსაც სკოლაში წასვლის დროს თუ შეველეოდი, თორემ სხვა დროს მუდამ ჩემთან იყო.

დილაადრიანად თვალს გავახელდი თუ არა, — წრიპა, წრიპუნია! — ნელის ხმით, თითქმის ჩურჩულით ვეძახდი ჩემს მეგობარს, რათა არ გამეღვიძებინა ჩემი უფროსი და ვერიკო.

წრიპა თითქოს ამას უცდიდა, მყისვე გაჩხდებოდა ჩემს საწოლზე და ციბრუტივით ტრიალებდა ჭრელი საბნის არეზე. თეთრ კისერზე ეჭვანი ჰქონდა შებმული და მის მოძრაობას ზარის ნაზი ჟღარუნი სდევდა.

ახლა რომ გამახსენდება წრიპა, გული ზიზღით მევსება, მაშინ კი მთელ ქვეყანას მერჩია.

წარმოიდგინეთ წითელი თვალები, წითელ ქუთუთოებში ჩასმული, რომლებიც მუდამ მოძრაობენ, ან უაზროდ მოგერჭობათ სახეზე; წარმოიდგინეთ გრძელი თეთრი კუდი, რომელიც ხან სახეზე გადამირბენდა და ხან კი კისერზე მევლებოდა; თაგვის კუდი მუდამ ცივი და საზიზღარი იყო, — ასე ახლა ვმსჯელობ, მაშინ კი წრიპა იდეალი იყო ჩემთვის.

ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ცოცხალი ექსპონატი.

ბევრ ხიფათს გადამკიდა წრიპამ, ბევრი წამება გადამხდა თავს იმის გულისათვის, მაგრამ მე გმირულად ვიტანდი ყოველივეს, რადგან მიყვარდა.

ხშირად სკოლაში წარმოვიდგენდი, თითქოს მეზობლის კატა შემოიპარა ჩვენ სახლში და წრიპას უთვალთვალებს. გული სევდით მევსებოდა. ერთხელ ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული. არითმეტიკის გაკვეთილი იყო, მე კი ჩემს წრიპასთან ვიყავი ოცნებით გადაფრენილი. აი მეზობლის კატა დაეწია თეთრ თაგვს, აი პირი დასტაცა, ეჭვანმა შეშფოთებით დაიწკრიალა.

— ციცხა. ციცხა! — წამოვიძახე ხმამაღლა, რის შემდეგ კუთხეს ვესტუმრე მთელი საათით. ბავშვებმა კი ბევრი იცინეს.

ერთ დღეს სკოლიდან დავბრუნდი. ჩვეულებრივ მეჩქარებოდა ჩემ მეგობართან, სირბილით გავიარე ყვავილებით სავსე ბაღი, სირბილითვე ავირბინე კიბეები და ოდაში შევვარდი.

— წრიპა! — დავიძახე. სიჩუმე. — ჰაიტ, შე ეშმაკო! — ალერსით გავუწყერი ჩემს საყვარელს, — პანამის ქვეშ იმალები! ამ სიტყვებით ჩემს საზაფხულო ქუდს წავავლე ხელი. ხელში ქუდის ნაცვლად ჭილოფის რგოლი შემრჩა. გავქვავდი, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ქუდის თავი წრიპამ მიირთვა.

საწოლზე პანამის ქუდის ნამცეცები ეყარა. „ვაიმე, რა ვქნა, ახლა ხომ გადამიგდებს მამაჩემი წრიპას!“ — გამიელვა თავში.

საუბედუროდ, მამაჩემმა სადილის შემდეგ გასეირნება მოინდომა.

— თამრიკო, ქუდი დაიხურე და წამომყე! — მომესმა მამაჩემის ხმა

— ვაიმე, რა ვქნა! — წამოვიძახე შეწუხებული ხმით, მაგრამ ვინაიდან ურჩო-

ბას ვერ გავბედავდი, ქუდი ორად გადავკეცე, იღლიაში ამოვიდე და მამას გავყე.

უკვე კარგი მანძილით დავშორდით სახლს, როცა მამაჩემმა მითხრა:

— თამრიკო, ქუდს რატომ არ იხურავ?

ვითომ ვერ გავიგონე. ცოტა ხნის შემდეგ მამამ შეკითხვა ისევ გაიმეორა და რადგანაც პასუხი ისევ ვერ მიიღო, პანამის ქუდი იღლიიდან გამომგლიჯა და სწრაფად ჩამომაცვა თავზე.

ირგვლივ გამვლელების სიცილი მომესმა. მამაჩემი გაკვირვებით მომჩერებოდა და ვერ გარკვეულიყო სინამდვილეში, მე კი კისერზე ჩამოცმულ უთაო პანამას ნაღვლიანად დავჩერებოდი და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

— ეს რას ნიშნავს, თამრიკო? — უკვე მრისხანედ მითხრა მამაჩემმა, როცა დაინახა, რომ ჩემს ირგვლივ გამვლელები იყრიდნენ თავს და უცნაურ სანახაობაზე ხმამაღლა ხარხარებდნენ.

— დია! ამ გოგოს რა ახალი მოდის შლიაპკა გამოუგონია?! — მოისმა ქალის ხმა, რამაც მამაჩემი მოთმინებიდან გამოიყვანა, გაბრაზებულმა ქუდი შემომახია და შუა ქუჩაში გადაისროლა.

ჩვენი სეირნობა, რასაკვირველია, ჩაიშალა. მამაჩემმა შინ მიმიყვანა და კუთხეში დამაჩოქა.

ბევრი ვიტირე, ბევრი ვევედრე მამაჩემს, რათა ეპატიებია წრიპასთვის და არ გადაეგდო. ბოლოს მამაჩემი მოლბა და გვაპატია დანაშაული.

იმ ღამეს დიდხანს ვესაუბრე წრიპას. შუაღამე გადასული იყო, მე კი ჩურჩულით ჭკუაზე ვარიგებდი ჩემ მეგობარს.

— აბა რად გიხდა, პანამას რომ მიირთმევ, განა არ გირჩევნია თეთრი პური კარაქით? განა არ გირჩევნია ნუში? ჰატ, შე სულელო, ჭკუით იყავი, თორემ მამაჩემი მეტს აღარ გვაპატიებს, ხომ ხედავ, შენი გულისათვის კიდევაც დამაჩოქეს, — ვესაუბრებოდი მეგობარს.

წრიპა თითქოს დამეთანხმა და ორ კვირას ჭკვიანად იქცეოდა.

ერთ დილას სკოლაში მივემგზავრებოდი და მადიანად შევექცეოდი საუზმეს, მაგრამ ვაი ამ ჭამას. უცებ მამაჩემის მქუხარე ხმა მომესმა:

— მოვკლავ... სად არის...

ოთახს ფეხაკრეფით მივეპარე და ფანჯრიდან შევიჭვრიტე. კამოდის უჯრა გამოღებული იყო და ტახტზე იდვა საიდუმლო ყუთი, რომელსაც მე არა ერთხელ ცნობისმოყვარეობით ვუვლიდი ირგვლივ და ვფიქრობდი, ნეტავ რა აქვს მამაჩემს კამოდის ყუთში ჩაკეტილი მეთქი; მამაჩემს ხელში ეკავა, თავისი ახალი ყვითელი ფეხსაცმელები, რომლებსაც ცხვირები წაჭმული ჰქონდა, ირგვლივ ჩენჩი ეყარა.

დავიღუპე, ათი ათასი მანეთი გააპარტახა ამ წყეულმა! — ყვიროდა მამაჩემი, რომელსაც რძალი ამშვიდებდა. იატაკზე ქაღალდის ფულის ნაგლეჯები ცვიოდა.

სასადილო ოთახში თითის წვერებზე შევიპარე, ავიღე ჩანთა და ოთახიდან ბაღში გავიპარე. წრიპა, თითქოს არაფერ შუაში არ ყოფილიყოს, მანდარინის ტოტზე შესკუპებულიყო და ულვაშებს აცმაცუნებდა.

— წრიპა, მოგკლავენ, შე საწყალო, — ჩავჩურჩულე და სწრაფად წიგნების ჩანთაში ვუკარი თავი.

სკოლაში მეტად დაღვრემილი მივედი. გაკვეთილებზე თითქმის არაფერი მესმოდა. ჩემი ფიქრები სახლში იყო. მამაჩემი მებრალებოდა, თან შინ დაბრუნებას ვშიშობდი.

დაირეკა, დასვენება იყო, კიდევ დაირეკა, აღარ მესმოდა მერამდენედ. ოთა-

ხში ჩქარი ნაბიჯებით შემოცანცალდა პიპინ მოკლე.

პიპინ მოკლე ბუნებისმეტყველების მასწავლებელი იყო; ასეთი სახელწოდება თავისი პატარა ტანისა და წვრილი მხრებისათვის შესთავაზეს ბავშვებმა. პიპინ მოკლე მეტად ნერვული მასწავლებელი იყო და ბავშვების გული ვერ მოიგო.

დაიწყო გაკვეთილი. უცებ მუხლებზე რალაცა რბილი დამეცა. შევკრთი. აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემი წრიპა უკვე პიპინ მოკლეს შარვლის ტოტზე იყო. გაშმაგებულსავით ვიცქირებოდი, მეშინოდა არ დამეყვირა, კიდევ ერთი წამი — და ჩემი წრიპა პიპინ მოკლეს მოტვლეპილ თავზე დასკუპდა.

რალაცა არაჩვეულებრივი მოხდა. პიპინ მოკლე კათედრაზე შემდგარიყო და ყვიროდა წვრილი ხმით: „მიიშვეეელეეეთ!"

ბავშვები სიცილით იხლიჩებოდნენ.

უცებ პიპინ მოკლე გონს მოვიდა, თაგვი მიწაზე დაახეთქა, გმირულად ჩამოვიდა ძირს, ჟურნალს ხელი დასტაცა და გარეთ გავარდა.

— ვაშა, თამრიკო! — ღრიალებდა კლასი.

— დავიღუპე! — ვფიქრობდი მე და მწარედ ვიღიმებოდი: რა მეშველება, სკოლიდან გამრიცხავენ.

— — —

ოთახში დირექტორი გაჩნდა, უკან პიპინ მოკლე მოსდევდა, „ბეზობრაზიე!" — კიოდა ის.

უსადილოდ დამტოვეს, მამაჩემი დაიბარეს.

წრიპა, რომელიც უბეში მყავდა, გაშმაგებულსავით დაწრიალებდა. საბრალოს ვერ გაეგო დანაშაული. მან არ იცოდა, რა სასჯელი ელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ჩემი და წრიპას სიყვარული და რა უბედურების კარამდის მიმიყვანდა, ბოლოს რომ ეს ამბავი არ მომხდარიყო.

ჩქარა სკოლის ოთახში დირექტორი შემოვიდა, თან მამაჩემი შემოჰყვა.

მე კუთხეში გავცივდი, წრიპა ისევ დაწრიალებდა.

მამაჩემი მომიახლოვდა და მკაცრი ხმით მითხრა:

— თამარ, დირექტორმა ჩემი ხათრით გაპატია დანაშაული და სკოლაში დაგტოვა, მე კი ჩემი მხრით სიტყვა მივეცი, რომ ის საზიზღარი ცხოველი მოგაშორო. მომეცი თაგვი.

თავი ჩავღუნე და უბიდან თაგვი ამოვიყვანე, ურჩობას ვერ გავბედავდი.

მამაჩემმა ზიზღით მოჰკიდა ხელი თაგვს, გააღო ფინჯარა და მესამე სართულიდან გადაისროლა.

გული მეტკინა, მეგონა ვერ გადავიტანდი ამ უბედურებას, მაგრამ დრო საუკეთესო ექიმი ყოფილა.

განვლო წლებმა და მე დავივიწყე ჩემი წრიპა: ეს იყო ჩემი ნორჩი ცხოვრების პირველი დიდი მწუხარება, პირველი ბავშვური ტრაგედია.

ცვალი ყინული

ერთი შეხედვით უცნაურია: როგორ შეიძლება ყინული დაიწვას, ეს ხომ გაუგონარი რამაა! ცეცხლი და ყინული მოწინააღმდეგე თვისებისანი არიან. მაგრამ, წარმოიდგინეთ, შესაძლებელი ყოფილა ყინულის დაწვა.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის უდიდეს ნაწილში ზამთრობით მდინარეები იყინება, რაც ნაოსნობას ხელს უშლის.

დიდი ხანია ცდილობდნენ ისეთი საშუალების გამონახვას, რაც სანაოსნო გზას ყინულის ჯავშნისაგან გაწმენდდა. მეცნიერებმა მრავალი წინადადება წამოაყენეს. მათ შორის ყველაზე საინტერესოა ე. წ. ტერმიტული მინა, რომელიც ცეცხლს უჩენს ყინულის ფენას. ტერმიტული მინის ზემოქმედებით ყინული სკდება და იწვის ისე, როგორც ჩვეულებრივი შეშა.

ტერმიტი წარმოადგენს ალუმინის ფხვნილისა და რომელიმე მეტალის წიდის ნარევს, მაგალითად, რკინისას. (ქიმიკოსები წიდას ჟანგს ეძახიან).

თუ ტერმიტულ ნარევს გავახურებთ, დაიწყება ძლიერი ქიმიური რეაქცია. ალუმინი ძლიერის ძალით უერთდება წიდის ჟანგბადს და გამოყოფს თავისუფალ მეტალს.

რეაქციის დროს ალუმინი ისეთი „სიხარბით“ უერთდება ჟანგბადს, რომ გამოიყოფა ძლიერ მაღალი ტემპერატურა – 3000° და ხშირად მეტიც, ამასთან ერთად ტერმიტს ისეთი მკვეთრი სინათლე აქვს, რომ ადამიანს თვალებს ატკივებს.

თქვენ გინახავთ, ალბათ, თბილისის ქუჩებში ტრამვაის რელსებს რომ ადუღებენ, – აი ესაა ტერმიტული შენაერთი, ძლიერ რომ ანათებს.

ტერმიტის საშუალებით წვავენ ყინულსაც და აი როგორ ხდება ეს. ჩვენ ვთქვით, რომ ალუმინი უერთდება ჟანგბადს და გამოიყოფა თავისუფალი მეტალი. როცა ეს რეაქცია ყინულზე ხდება, აქ ადგილი აქვს მეორე რეაქციასაც. თავისუფალი მეტალი უერთდება ყინულის ჟანგბადს (წყალი ხომ წყალბადისა და ჟანგბადისაგან შედგება) განთავისუფლებული წყალბადი იწვის და გამოყოფს დიდ სითბოს. დნება ყინული, სკდება სქელი ფენები და ამრიგად იწმინდება სანაოსნო გზა.

ტერმიტული მინა აფეთქების დროს იძლევა დამაბრმავებელ სინათლეს, შემდეგ კი იწყება ხანძარი. მთელი ყინულის ფენა გავარვარებულია და რაღაც ფანტასტიკურ სანახაობას წარმოადგენს.

ყინულის აფეთქება და წვა თითქმის უხმაუროდ მიმდინარეობს, არც რაიმე ზიანს იწვევს, თევზებსაც არ ხოცავს და ამიტომ მისი გამოყენება დასახლებული ადგილების მახლობელ წყლებშიაც შეიძლება.

ციგალა

ილია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კარგია ჩვენი გია,
რა კარგია, რა კარგია!!
მისი მღერა და სიცილი
ნაკადულის რაკრაკია!

მოვა, ამბებს დაგიწყებს,
წუთსაც არ მოგასვენებს,
თან სხეულის ნაწილებს
ჩამოგითვლის, გიჩვენებს:

—„აი, თვალი! აი, თმა!
ეს—თვალი! ეს—ცხვირია!“
გიამ იცის: თავი, თმა,
თვალი რისთვის სჭირია!

მოდი, შევეკითხები,
ნახეთ, როგორ გაგვაცნოს!
—გია, ეს თმა რად გინდა?
—დედამ უნდა დამვარცხნოს!

—თავი? თავი რისთვის გაქვს?
—ქუდი რომ დავიხურო!
—თვალი, გია, თვალები?
—დედას უნდა ვუყურო!

—თვალი კიდევ რად გინდა?
—აბა, როგორ ვიტირებ?
—კიდევ?
—კიდევ რად მინდა?
დავხუჭავ და ვიძინებ!

—ყოჩაღ, გია! დაიცა!
კიდევ უნდა მისმინო!
გია, ცხვირი რად გინდა?
—უნდა დავაცემინო!

—გია! შენ პატარა ხარ,
შენზე დიდი ილოა!
—არა! არა! შემხედე:
მე ცხრამეტი კილო ვარ!

გუშინ დედამ ამწონა!!
მე ძალიან დიდი ვარ!
ამ სალამოს ილოსთან
საჭიდაოდ მივდივარ!

დედა ბევრ საჭმელს მაჭმევს,
მალე სულ გავიზრდები,
„ჰაელოპლანს“ ვიყიდი
და შორს, შორს გავფრინდები!

ძია სტალინთან მივალ!
კარგი იქნება, განა?!“
დაჰკრა ტაში, შეუხტა
და სადღაც გაექანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ანანიაშვილი

საახალწლოდ მიჰქრიან...

დილით ადრე, გარიჟრაჟზე,
მურია და ფიქრია
ელგუჯასთან საახალწლოდ
მისალოცად მიქრიან.

მურა ამბობს: ელგუჯიკო,
ჩვენ ნუ დაგვემდურები,
უსაჩუქროდ რო მოვედით
პაწაწინა სტუმრები.

ფიქრიამ თქვა: „მეგობარო,
საყვარელო ძამიკო,
საჩუქრები არ გვიყიდა
ცუგრუმელა ანიკომ.

ჩვენ კი ჩვენდა თავად გვსურდა
შენი გულის მოგება,
მაგრამ რა ვქნათ, გროში ფული
რომ არ მოგვეპოება?

— „რასა ბრძანებთ, მეგობრებო,
რისთვის გაისარჯებით,
სათამაშო ბლომადა მაქვს:
თოფი, ბურთი, ანძები.

ეს ნაძვისხეც გუშინ მოვრთე,
როგორ ალობს და ბზინავს!
მეგობრებო, გაიცანით
გოგლა, თამაზ, ბიძინა.

შემოვევლოთ ხუჭუჭთმიანს,
შემოვერტყათ გარშემო,
თოვლის პაპას ლექსი ვუძღვნათ,
საყვარელო ბავშვებო!

ვიმღეროთ და ვითამაშოთ,
ვინ დაგვიშლის ანცობას?
ჩვენს მომავალს გაუმარჯოს
და ბედნიერ ბავშვობას!“

ვაჟა შირაქში

საქართველოს აღმოსავლეთით, შირაქის ველზე, დაუღალავი შრომაა. წინათ ამ ტერიტორიაზე მოძმე ხალხებს შორის დიდი შუღლი და მტრობა ყოფილა.

აქ ლაპარაკია არა შორეულ წარსულზე, როდესაც ჯერ შირაქის ველზე დასახლებულ ხალხს, მერე კი მთელ საქართველოსაც აწიოკებდნენ ლეკები, სპარსელები და სხვები, — ეს ამბავი ეხება 1900-იან წლებს.

შირაქის ველზე ახლა რომ სოფლებია ჩამწკრივებული, მაშინ ამ ადგილას სახნავ-სათესი მიწები ჰქონდათ თუშებსა და ფშავებს. თუშებს არა ერთხელ მიუსაკუთრებიათ ფშავების კუთვნილი საძოვარი. ეს იყო მიზეზი, რომ მათ შორის გაუთავებელი შუღლი არსებობდა და კეტებითაც მრავალჯერ დარევიან ერთმანეთს.

თუშები ძალით ყრიდნენ ყორღნებს და ფშავების ტერიტორიაზე გადაჰქონდათ, რაც საწყენი იყო ფშავებისათვის. ბოლოს, რომ ვერაფერი გაუწყვიათ, ფშავებს ვაჟა-ფშაველა მიუწვევიათ შირაქში. იმედი ჰქონდათ, რომ ვაჟა ამ საქმესაც ისევე მოაგვარებდა, როგორც სხვა დროს

წამოჭრილი სადაო საკითხები მოუგვარებია.

თუშებს ვაჟას მოწვევის ამბავი შეუტყვიათ და მის ჩასვლამდის შირაქში მყოფი მეფის „პრისტავი“ დაუქრთამიათ.

ვაჟა იმ დროს ჩასულა შირაქში, როცა ჩხუბი ფიზიკურ ძალმომრეობამდის მისულა. უყურა, უყურა, თურმე, ვაჟამ ამ ამბავს. ხედავს, რომ „პრისტავის“ მეცადინეობით ყორლნებს ძალით ფშავების ტერიტორიაზე ყრიან. ვაჟას უთქვამს: არა მშურს შენზე 15 მანეთი დავხარჯოო*) და მაგარი სილა გაურტყამს „პრისტავისათვის. ამის შემდეგ მოდავეებს ყორლნები კანონიერ ადგილზე ჩაუყრიათ, რადგანაც ვაჟას დაუმტკიცებია ფშავების სიმართლე.

დღესაც ცხოვრობენ ამ ადგილას ფშავები და თუშები, ისინი სიყვარულით იგონებენ ამ შემთხვევას.

მასალა მოგვაწოდა **ი. ნანობაშვილმა**

---

*) ძველად კანონი იყო, ვინც ბოქაულს (პრისტავს) ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებდა, 15 მანეთით ჯარიმდებოდა.

გამოცანები

დაამუშავა ნინო ნაკაშიძემ

1.

აბა ვინ არის ის კუდიანი,
ვინც დაიბადა ულვაშიანი?

2.

თუ ავდგები,
ცას ავსწვდები.

3.

პატარა ძაღლი
წევს მოკუნტული,
არც ყეფს და არც იკბინება,
სახლის მცველია.

4

შუშის მინდვრებზე
ხის მიჯნებია.

5

ორმუცელას ოთხი ყური აქვს.

6.

დახურავ — ჯოხია,
გააღებ — ქოხია.

7.

რკინის ხარს ბამბის კუდი აბია.

8.

ერთი უსხამს,
მეორე სვამს,
მესამე იზრდება.

9.

ტყეში საცერი ჰკიდია
უხელოდ გაკეთებული.

10.

ხის ჩოხა რომ გაცვია,
შავო ბიჭო მახარეო,
სადაც ცხვირი წაჰყავი,
ნიშანი რად დაყარეო?

11.

ათას ძმას ერთი ქამარი არტყია.

12.

ვინ ჩაიცვა ასი კაბა
ულილო და შეუკრავი?

13.

მოხუცებულ ბაბუაჩემს
ეცვა ტანზე ოცი ჩოხა,
ვინც გახადა — ცრემლი ღვარა,
სულ ლოყები დაიხოკა.

14.

დეზებს ატარებს, —
მეომარი არ არის,
ყველას ადრე აღვიძებს, —
დარაჯი არ არის.

15.

მაღლა მავთულს მოვეჭიდე,
მივყავარ ელექტრობას,
ტრამვაი არ გეგონო,
დავდივარ ურელსოდ.

16.

დიდ მაღალ სახლში
ზევით და ქვევით
დადის ოთახი,
სავსეა ხალხით.

ფასი 50 კაპ.

317
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვის ხე

სიტყვები — ზ. დავითაშვილისა

მუსიკა — თ. შავერზაშვილისა



2. ნაძვისხეო, გვახარებ
ბავშვებს უბედნიერესს,
ახალი წლის სიხარულს
შემოგხარით მშვენიერს. | 2 ჯერ

2. სწავლისათვის, ბავშვებო,
ვიყოთ დაუღალავი,
გავუმართლოთ დიდ სტალინს
მშობლიური ამაგი. | 2 ჯერ